საქართველოს გაერთიანებული
წყალმომარაგების კომპანია
UNITED WATER SUPPLY COMPANY OF GEORGIA

N 8616/1
31/05/2022

8616-1-2-202205311127

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს
სსიპ „გარემოს ეროვნულ სააგენტოს“
უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელს
ბატონ თეიმურაზ მთივლიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

გაცნობებთ, რომ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ დაბა გუდაურის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე, საქრთველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 2 მაისის N2-379 ბრძანებით ფლობს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას. გამწმენდი ნაგებობების დეტალური პროექტირების ეტაპზე, შესაბამისი ინჟინერ-სპეციალისტების მიერ, განხორციელდა პროექტის დიზაინის დაზუსტება, რომლის შედეგადაც იგეგმება ინფრასტრუქტურული ობიექტების, მათ შორის, ანაერობული ავზების, ანოქსური ავზების, აერაციის ავზების, სალექრის ზედაპირის ფართობის, ჭარბი ლამის ავზების მოცულობების, გამკვრივებული ჭარბი ლამის საერთო მოცულობის და მშრალი ჭარბი ლამის საერთო რაოდენობის დაზუსტება. ამასთან, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ“ 2022 წლის 13 აპრილს N5917/1 წერილით აცნობა დაგეგმილი სამუშაოების შესახებ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

საქართველო, ქ.თბილისი 0186
ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა №5
ტელ: (032) 2 91 90 60
ს/კ: 412670097
e-mail: info@water.gov.ge
www.water. gov.ge
5, Anna Politkovskaya St.
Tbilisi 0186, Georgia
Tel: (032) 2 91 90 60

სამინისტროს 2022 წლის 21 აპრილის N4108/01 წერილით კომპანიას ეცნობა, რომ აღნიშნული პროექტი საჭიროებს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ გათვალისწინებულ სკრინინგის პროცედურის გავლას.

დანართის სახით, განსახილველად წარმოგიდგენთ დაბა გუდაურში საკანალიზაციო სისტემისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების დაზუსტებულ სკრინინგის განცხადებას.

დანართი: სკრინინგის ანგარიშს და SHP ფაილებს.

პატივისცემით,

აკაკი მშვიდობაძე

დირექტორის მოადგილე